ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2894159

ნომერი: AR1447242

თარიღი : 07.10.2016

გაცემის თარიღი : 18.10.2016

გაცნობის თარიღი : 18.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მერაბ ალექსიძის ქუჩა N9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ძიგუა პ/ნ 01026007451
- ვ.დოლიძის, 21 კორ., ბ. 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1447242 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. #9-ში (ს/კ #01.10.13.040.046) მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 13 მარტის #1164813 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. #9-ში

არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.10.13.040.046) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სასტუმრო, ოფისები, კაფე–ბარები, მაღაზიები) მშენებლობისათვის.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2015 წლის 26 თებერვლის #09 სხდომის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. #9-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.10.13.040.046) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=4.6-ით. (სამსახურის 07.04.2015წ. #1773256 წერილი)

2015 წლის 07 აგვისტოს #2054483 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.03.2014 წ. #1164813 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მ. ალექსიძის ქ. #9-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.
